



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღს
 № 23 მ ა ი ს ი 31 1898 წ. № 23

შინაბრსი: ინტელიგენცია ნ. ურდანიანი. — სხვა დასხვა აზვები. — გვალის კორესპონდენციები. — გვირიდან გვირამდე. — მგზავრის შენიშვნები (გაგონებლება) ფ. პაცრიშვილი. — ს. — ორი სურათი ლექსი გ. გოგოლაძისა. — კრატეული შენიშვნები მამაკვალისა. — ჩემი სურათი მოხრობა ე. ლისა. — წერილი რედაქციის მიმართ ა. ხანაშელიძისა. — უცხო სიტყვების ახსნა და ქუთაისის ბანკის განცხადება.

რედაქციის ადრესი: არცილეურიის ქუჩა გაღუტის კორპუსის გვერდითი სახლი თბილისში.

ტელეფონი 15 კ.

ინტელიგენცია.

II

რა არის ინტელიგენცია? რა ელემენტებისაგან შედგება იგი? საიდან გამოდინა მისი წევრები? რა და რა ნაირ წრეს ეკუთვნიან?

ინტელიგენციას, საზოგადოთ, ნასწაველ ხალხს უწოდებენ, განსაკუთრებით იმას, რომელთაც საშუალო და მაღალი სასწავლებელი გაუთავებიათ და ამით ისინი ცხოვრობენ. ხოლო სწავლის მიღება შეუძლია ყველას განურჩევლათ წოდების და მდგომარეობისა, თუ კი გარემოება ხელს უწყობს. აზნაური, გლეხი, ხელოსანი, ეპური, მრეწველი, მღვდელი და სხ. — ყველა თავის შეილის გაზდას და გაღაბალომიანებას მეცადინეობს. მაშასადამე ინტელიგენციის წევრები ეკუთვნიან აი ამ სხვა-დასხვა საზოგადოებრივ კლასებს: ის ამათ ერთათ ათავსებს, თავის არსებაში ატარებს და მით სრულიად ერთი მეორის

მოწინააღმდეგე მიმდინარეობას საერთო კალაპოტს უკეთებს. ეს კალაპოტი პირველ ყოვლისა იდეური, განებრივია. ინტელიგენცია ამ მეტროპოლ ელემენტებს მხოლოთ თავის გონებაში არიგებს და არწუწუნებს სხვებსაც ეს შეტრეება რეალური, ნამდვილიაო. მას ასე ჰგონია არა იმიტომ რომ ის ამაში დაინტერესებული იყოს, არამედ იმიტომ რომ ცხოვრების დედა-ძარღვი ვერ აქვს შეგნებული, მისი ალლო ვერ აქვს აღებული, თავისი ოცნებებიდან ვერ გამოდის, თავისი ფანტაზიისაგან ვერ თავისუფლდება. ცხოვრებაში როგორც კი თავს იჩენს კლასთა წი. ნაღმდევობა — ის უარს ჰყოფს ამას, ის ხელს აფარებს და საყოველთაოთ ამტკიცებს: ეს შემთხვევითი, წარმავალი მოვლენაა, ეს ცელქი პირებისაგან გამოგონილი და გაზეადებულიაო. და ამაში ღიღ ხანს აჯერებს თეთ ამ მეტროპოლთაც. 1848 წელს თებერვლის რევოლუციამ საფრანგეთში ინტელიგენტთა დროებითი მთავრობა წარმოშვა. აქ იყვენ: პოეტი, პუბლიცისტი, ადვოკატი და სხ. მაშინ ლამარტინმა თქვა: „აი ეს მთავრობა მოსპობს იმ საშინელ გაუგებრობას, რომელიც არსებობს სხვა-დასხვა კლა-

კ. მარქსის ს. ა. ს. სურსახვით

სებს შორისა“. მარა ეს „დამბობილება“ უარყო მუშა-ხალხმა და იენისში ბურჟუაზიას შეგებძოლა. და რაღა შორს წაიედით, რა იყო ჩენი მოღვაწეთა უკანასკნელი ოკი წლის მოღვაწეობა თუ არა თანხმობის და მერგების ქადაგება? ამათ ხელში ეჭირათ ვითამ და მიუდგომელი სასწორი, რომელიც არც ერთი ერის და წოდებისაკენ არ უნდა გადახრილიყო, ცნის ნიეთიერ მხარეს, კლასების აღორძინებას სრულებით არ აქცევენდნენ ყურადღებას და მხოლოთ კონსერვატორ-პროგრესისტობით ზომავდნენ ქვეყნიერებას. და ასე ამით გამოეპართ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება, რომელზედაც აღმოცენდა წინააღმდეგობა კლასთა და ერთა შორის. ამნაირათ, ინტელექტუალმა ანსულეს და ბურჟუაზიამ სხვის ამ ანსულეს ანტაგონიზმს, რომელიც ნამდვილათ არსებობს ცხოვრებაში, მარა ეს ჯერ კიდევ არ შესულა მთელ თავის ძალაში. ამით ის წინ ეღობება ცხოვრების წინ-მსვლელობას და ამ წინ-მსვლელობის შეგნებას. ინტელექტუალმა, თავის უხეშობათ, რეაქციონურ წოდებას თამაშობს.

მარა ერთი ვიკითხოთ: რა აკავშირებს ინტელიგენტთა ერთმანეთთან? ისინი ერის სხვა-და-სხვა ნაწილს ეკუთვნენ, ხოლო ამ ნაწილთა შორის აშკარათ თუ დაფარული ზრძობილა. მაშ რა სასწაულებით თავსდებიან მათი განათლებული შვილები ერთათ, ერთ საზოგადოებას ადგენენ და ერთ ინტერესს იკავებენ? ეს წარმადგება იქიდან, რომ ინტელიგენცია აღჭურვილია ისეთი იარაღით, რომელიც მხოლოთ მისი საკუთრება და მით განკალკევებულია დანარჩენი საზოგადოებისაკენ. ეს იარაღია—სწავლა-ცოდნა, განათლება, დიპლომი. აი ეს არის ის საერთო ფარავალი, რომელშიაც ის ტრიალებს. მას თავი მოაქვს ერის განათლებულ ნაწილათ და ეს საქმარისია, არქმ მან თავისი თვით განკერძოებულ არსებობა წარმოადგინოს. მასში არსებობს ზრძობა, შუღლი, განხეთქილება; თითოეული პირი ცდილობს მეორეს შეეცილოს და უკეთესი ალაკი ჩაიკდოს ხელში, ისე როგორც თითოეული ეპარქი მეცადინებას თავის მეტოქეს მუშტარი ჩამოაშოროს და თითონ მიიზიდოს. მარა ეს ზრძობა არის პირადი, ინდივიდუალური და არა საზოგადოებრივი და კლასური. ამით არც ერთი უარს არ ჰყოფს თავის წრეს თუ კლასს, პირიქით ამას კიდევაც ამაკრებს და აფართოებს. ინტელიგენცია აქ სრულიად არ აღიარებს: ჩვენ განკერძოებულ საზოგადოებას არ შევადგენთო. არა, ის სწორეთ იმითამ ამრძებს, რომ ეს თავისი მდგომარეობა დაიცავს, თავის საძირკველზე გამკრძალდეს. ეს საძირკველი არის იმავე დროს უპირატესობის, უაღრესობის საძირკველი, ის მდლა ღვას არა

მარტო გონებრივით, არამედ ნიეთიერათაც. საიდან მომდინარეობს მისი ნიეთიერი კეთილ-დღეობა? ინტელიგენტი აღჭურვილია სწორეთ ისეთი სწავლა-ცოდნით, როგორსაც არსებული წყობილება მოითხოვს. ის მოემზადან სახელმწიფოთ ან კერძო სამსახურში შესასვლელათ და მთავან, ვისაც ემსახურება, შესაფერჯილოს ღებულობს. მაშასადამე, ინტელიგენცია პირველ ყოვლისა ერის შემკლებულ ნაწილიდან რჩება და მასზე დამოკიდებულია. ამიტომ მისი ინტერესი პირდაპირ დაკავშირებულია ამ ნაწილის ინტერესთან. რაც უფრო გულმოდინეთ ასრულებს თავის მოვალეობას, მით უფრო მეტ პატივს და გაცლენას პოულობს. რაც უნდა გვერისთვის იყოს ინტერესი ან სხვა რომელიმე ხელობის პირი, რაც უნდა შესანიშნავი რამ გამოიგონოს, ვერას განდგება თუ ფული არ აქვს, ხოლო ფული ეპურის და მრეწველის ხელშია. ასე რომ, რა მხრითაც უნდა შევხედოთ, სასწაულო ხალხი იმუჯავება ფულან ხალხს დაუმორჩილებს და ემსახურებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ჰკარავს თავის ადგილს, მდგომარეობას ე. ი. უარ ჰყოფს თავის თავს, რაც ყოველად შეუძლებელია. ეს შესაძლებელია მხოლოთ ამა თუ იმ ინტელიგენტისათვის, მარა მთელი ინტელიგენციისთვის კი არასადგს. მან ეს კიდევაც რომ მოინდომოს ვერ შეასრულებს, მისი ბატონი თითონ კი არ არის, არამედ ის ისტორიული პირობა, რომელმაც ის წარმოშვა, აღზარდა და განავითარა. ტენიყო, ადვოკატი, მასწავლებელი, ჟურნალისტი, ექიმი და სხ. ყველა ეს წინ-წამაოყენა თანა მედროვე ცხოვრებამ და თავის აუცილებელ მოთხოვნრლებათ ვიხიდა. ხოლო ამ ცხოვრებაში კი შემკლებული ხალხი ბატონობს. და აი ამ ბატონობაში ინტელიგენციასაც წილი უდევს. მარა საკვირველი ის არის, რომ იმ ქვეყანაში სადაც საზოგადო ცხოვრება უკან ჩამორჩენილი და მიოვლია, ინტელიგენციასაც მეტი ვალდენა და სახელი აქვს. მაგ. ჩვენში და რუსეთში. ხოლო იქ, სადაც ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება განვითარებული და ერთა-გაშლილია, ინტელიგენციასაც მნიშვნელობა ეკარავს და თით სიტყვა ინტელიგენციაც არ არსებობს. მაგ. ინგლისში და საფრანგეთში. საიდან წარმოადგება ეს? ამის უმთავრესი მიზეზია ერის ეკონომიური წარმატება. როგორც ზეით ეთქვით, ინტელიგენცია ცდილობს სხვა-და-სხვა კლასებში მთავროვოს, თან და მგელი ერთათ ამოვოს, და სანამ ეს კლასები ჩილი და შეუხეხებელია—ამ ინტელიგენტურ იდეალიზმსაც ვაუღწენა აქვს. მარა აი ცხოვრება წინ წაიკა, ნაკონომიური შრომა აღორძინდა და გართულდა, აბალი კლასები განვითარდნენ და მათ შორის არსებული განხეთქილება თვალ-საჩინოთ

გახდა. ინტელიგენცია ჯერ კიდევ თანხმობას დამოუკიდებლობის, მარა ეს აღარავის სჯერა, და ამ მოლაღებელთაჲს ეფხე ქვეშ ნიადაგი ეცლებათ, სასწორი ხელიდან უვარდნათ და თავის იდეალისტურ ჩიხხვას სამუდამოთ ეთხოვებიან. ისინი იყოფიან და სხვა-და-სხვა პარტიას ეკედლებიან. ინტელიგენცია ვაილესა ხალხში, მოწინავეობა მას ჩამოართვეა და გადაეცა მთელ ხალხს, მთელ ერს, კლასებთ და პარტიებთ დაყოფილს. ინტელიგენცია ცხოვრებას აღარ მეთაურობს, საზოგადო დროში აღარ უჭირავს ხელში. მაშასადამე ინტელიგენცია, როგორც მებრძოლად და წინამძღოლო, შედგეფა ცხოვრების უკან ჩამორჩენის და განუვითარებლობის. ის იქ პირველობს, სადაც ხალხი უკანასკნელობს, ის იქ არის აწეული, სადაც ხალხი დაწეულია, ასწით ხალხი და დაიწევა ინტელიგენცია, აალორძინეთ ნაციონალური შრომა და ძირს დევნება ინტელიგენციაჲს. წინ წაწეულ ქვეყნებში თითონ ხალხი იმდენს სწავლობს, რომ სრულიად თავისუფლდება ინტელიგენტურ ძიძობისაგან და დგება საკუთარ ფეხზე. ეს მისი სწავლა წარმოებს არა სასწავლებელში, არამედ ცხოვრებაში, იმ ცხოვრებაში სადაც შეუჩერებელი დღეული და მღელვარებაა. ამაში ჩამბულია მთელი ხალხი, მთელი ერი და თითოეული მისი წევრიც ძიულებულია ამ აბოძოქრებულ ზღვაში შეცურდეს და ხელ-ფეხი გაანძირის, აი ეს არის მისი სკოლა, მისი ასპარეზი, მისი მოღვაწეობა. აქ კურსს დასრულებული სტუდენტო იმდენათ უსუსუფი და შეუგნებელია, რამდენათ მუშა გინდ ვაჭარი მავარი და შეგნებულია. მთელი მოძრაობა ამით ზურგზე და ამითი ხელით წარმოებს. ცნობილია რომ გერმანიაში იშვიათია ისეთი, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდეს, ხოლო ინგლისში კი ხშირია. აქ საგაღებულთა სწავლა ახალი ხილია. მთუხდელათ ამისა ინგლისელს ვაცილებით მეტი ცოდნა აქვს საზოგადო ცხოვრების და წყობილების შესახებ, ვინემ გერმანელს. ეს იმიტომ რომ პირველი უფრო განვითარებულ ცხოვრებაში ტრიალებს, ვინემ მეორე. აქ თავისუფლება ჯერ კიდევ სადაა საგანია, იქ კი ყველასაგან ცნობილი ზღ აღსარებულია. ასეთ პირობებში ხალხის განებრივი წარმატება სწრაფათ ხდება. ჯერ კიდევ ბოლო წერდა: „არსად არ არის ის ცოტა ხალხი დიდთ ნასწავლი და ისე ცოტა ხალხი დიდათ უსწავლელი, როგორც ამერიკაში“. ხოლო გერმანიაზე წარმოთქვა: „არ არის ისეთი ერი გერმანიაში, სადაც ისეთი ორმო იყოს მოთხრილი ნასწავლთ და უსწავლელთ შორის როგორც გერმანიაში“. მარა მას მეერ გერმანია წინ წაიდა და ეს ორმოც რამდენიმეთ ამოწორდა. ამ გეარათ კულტურული განვითარება, ეკონომიურათ აღორძინება,

ძველი, მობრეკებული წყობილების დარღვევა ზღ საზოგადო ურთიერთობის შეცვლა — არა წითენის და ამაღლებს ხალხს. ხოლო ხალხის ასეთი ამაღლება ნიშნავს ინტელიგენციის დამაღლებას და დასუსტებას. რაჲც ყველა ეს პირობები შესრულებული იქნება — ჩვენი ინტელიგენციაჲს ისეთი ისტორიული ნაშთი შეიქნება, როგორათაც ეს მოწინავე ქვეყნებშია...

ნ. ჟორჯანია.



სხვა-და-სხვა ამბავი.

უმ ბოლო დროს კავკასიაში ბევრმა უცხო კაპიტალისტებმა შეიყიდეს ნავთის საწარმოეო რაიონები. ამის გამო რუსეთის მთავრობამ ინგლისურ ვაჭრობით დაბეჭდა განცხადებასავით, რომ ყოველივე ასეთი ნაყიდობის პირობა გაუქმებულ იქნება, თუ ის რუსეთის კანონს არ ეთანხმება. ხოლო ახლა მინისტრთა კომიტეტმა გადაწყვიტა თითოეული ასეთი ნაყიდობა ძალაში შევა მხოლოათ შემდეგ სამინისტროს ნება-დართვისო.

შავი ზღვის პირათ, ანაკლიაში, თ. მენგრელსკის მამულში გეოლოგ გ. წულუკიძეს აღმოუჩენია ნავთი. მიწის დაბურღელს და შემუშავებას კისრულობს ერთი საფრანგეთის ფირმა, რომელთანაც უკვე პირობაც შეუკრავთ.

შედეგა უცხოელ კაპიტალისტთა კომპანია ამ სათაურით: „ბურის ნავთის მწარმოებელთა აქციონერული კომპანია“ რომლის მიზანია ჩვენი ქვეყნის ნავთის წყაროები გამოიკვლიოს და იჯარით აილოს ან და შეიყიდოს.

როგორც შევიტყვეთ, შაბათს, 6 იენისს, ქართული საერო ხორა კესადქს ლოტბარობით გამართეს კონცერტს. ახალ სიმღერებს და სოლოებს შორის ხორა შესრულებს „ფერხულს“. ხორა შედგება 22 კაციისაგან და იმღერებს 24 სიმღერას.

ბაზრიდან, რომელიც იყო გამართული წერაკითხვის საზოგადოების სასარკებლოთ, შემოვიდა 1800 მანეთამდის.

ბელგიელი კაპიტალისტი კოჯარს და თუილის შორის რკინის გზის გასაყენათ გზას იკვლევენ

მთავრობას მოუწონებია ის აზრი, რომ ქუთა-

ისში გახსნას პროფესორნალური სკოლები ქუთაისის გუბერნიის თვად-აზნაურთა შვილების აღსაზრდელათ.


ამ დღებში თვად-აზნაურთა განსაკუთრებით ყო-მისიამ თ. ბაკრატიონ მუხრანსკის თამჯდომარეობით და ყველა მასტრის წინამძღოლთა მიზნაწილეობით განიხილა სამინისტროს პროექტი: დაარსებულ იქმნას სათვად-აზნაურთა საერთოებრივი დამმზარებელი კასსა, რომლის მიზანია დაგირავებულ მამულების უზრუნველყოფა საჯარო გაყიდვისაგან. კომისიამ უარყო ეს პროექტი, იმ მოსაზრებით რომ ამ კასიდან აღებული სესხი კიდევ უფრო დაავალიანებს მემამულეს და მის მამულს ვერ დახსნის გაყიდვისაგანო.

თფილისის სოცდავართ აზრათ აქეთ კომერციულ სასწავლებლის მაგერ გახსნა სამრეწველო მუზეუმში, სადაც დაარსებულ იქნება საეკონომიკური სკოლები.

თფილისის ცხენის რეინის გზის უსახლო საზოგადოება კიდევ თხოვს გამკობას: ნუ შეიყიდით ჩვენ გზას, დაგვითმეთ ისევ 37 წლით და პრობას დაედებთ ახალი შტოები გაიყვანოთ და ვაკონები ელექტრონით ვატაროთო.

სოფ. ჩინათ დან (გურია) გეწერენ: ჩვენ სოფელს 1896 წლის წყალდიდობამ დიდი ზარალი მისცა. ბევრს პირუტყვთა მთელი ჯოგი დაეხრჩოთ. ყოველივე ეს ანუხსენს და წარაღვიეს სადაც ჯერარს, საიდანაც აქაურ მამასახლისმა ფული მიიღო დაზარალბულთა შორის დასარავებლათ, აი ეს ფული მამასახლისს დღემდის ჯიბეში აქვს. იმედია ამ საქმეს ყურადღებას მიაქცივენ.

სომხური ყოველ დღიურთა გახვითი არქივები“ სამინისტროს განკარგულებით შეჩერებულ იქმნა სამუდამოთ.



აკვალის“ კორესპონდენტები.

ქუთაისი. „კიდევ ქუთაისი! თქვენი მტერია—იტყვის მკითხველი—საქმე გავეჭირვებს ამ ქუთაისის ისტორიით, ღირდეს მაინც ეს ქუთაისი ამდენ წერათ!“ მართალი ხარ, მკითხველო, სწორეთ რომ არ ღირს, მაგრამ... მაგრამ ის რომ... ღირს, ესე იგი არც ღირს და კიდევ ღირს. როგორც მოგვხსენებთ, ქუთაისის განებრივი ცხოვრება „სალონებში“ მიმდი-

ნარეობს; იქ იბადებიან ის დიდი იდეები და მათი მატარებელი, რომელთაც არა ერთხელ შეურყეველათ მთელი ქვეყანა და ქუთაისისთვის ხომ სულ ტყავი გაუძვრიათ და რომელიც შემდეგში უფრო მეტს უქაღიან კაცობრიობას. ამ სალონების მწვენი მინდრებზე ერთი ხელიდან მეორეში მიგორავს და მიგორავს ჩვენი ქვეყნის“ უკანასკნელი იმედების აელსადდება. გორგის შემდეგ ბულგარი და შემდეგ რა იქნება, ამას ისტორია გვიჩვენებს. არის კიდევ ერთი ადგილი, ეს თეატრი ვახლავთ, რის შესახებ ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ.

წარსული წლის რეპერტუარს, ჩვენის აზრით, ერთი უმთავრესი ნაკლებევაება ჰქონდა: მეტის მეტი ერთფეროვანი პიესები იყო რუმეტეს ნაწილათ მითვისებული, ნაშტნაეთ რეპერტურის პირველ ნახევარში. ენებთა ელვა; დემონური შურისძიება „სისხლი“, „დიდება“, „შურა“ — სცენიდან სოლ ეს იხმოდა. ჩვენის აზრით, ეს უფრო საშუალო საუკუნოებრს, ვეოდალ რაინდების დროის შესაფერი რეპერტურია, ვინემ საძღროო. ამაზე ერთმა ჩემმა მეგობარმა თეატრშივე შეინშნა წარსულ წელს, რომ ბ. ალექსეევი-მესხივევა კარგათ იცის როგორ საზოგადოებასთანაც აქვს საქმე და ასეთ პიესებს ვანგებ არჩევსო *). მე მკონია ამ აზრში ზოგიჩამ მართალია, უსაქმო კაცის ფანტაზიას საზღვარი არა აქვს. დიდიდან საღამომდე ბულვარზე მოსიერინე სიშვენიერის შემყურეთ თუ მწვენი ტულოებთან თავბირუ დასხმულ კაცს, როცა მოაგონდება, რომ მისი მამავალი საეკონომიკური თვისი ძველებური ფეოდალური ვეაკობა და ილიოუზიები გაელეძიება, და მათი უფრო სიტყვებით წარმოსადგენათ სცენიდან მოისმის ან საფრანგეთის ეინმე ძველ ფეოდალის ბრძანება ქვეშევრდომთადმი, ან ინვლისის (ძველისას მოგახსენებთ) კოროლის ბოროტბანი და სხვა. გარეგანი ფორმა ყველა ამ ვახსენისა სწორეთ ზედ ვაშოკრილია ამისთანა პიერების ფანტაზიის დასატობათ და შინაგანს ხომ არავინ ეძებს. აქ ყველაფერში მხოლოთ გარეგან ფორმას მისდევენ და შიგ რა ყრია იმას არ დაგიდევენ. დიახ, ქუთათურებს ძალიან უყვართ დრამები და ტრაგედიები თეატრში, ხოლო სახლში კომედიებს და ვადევილებს ეტრფიან. ქუთაისის მანდოლისნებს ძალიან ეთაკილებათ თეატრში ვაკიებნა, ეს რაღაც მდაბიურთა—ვადევილ-კომედიების გრება-პრანქვაზე სიცილ-ხარხარი, აქ, ხომ მო-

*) თუ ან გვჯები, შიქსების ამოჩქება შ. მესხივე-სუ ან უნდა იყოს დამოკიდებული, ის მხოლოთ წარუდგენს ცალკე კომისიას შიქსების საის და ეს კომისია კი იქიდან იჩქებს.

გესნენებათ მკითხველო, მეტის მეტი სერიაზული ხალხია (ნამეტნავათ ინტელიგენტები) ისეთი სერიოზული, ისეთი სერიაზული, რომ, წარმოადგინეთ... მაგრამ არ ვიტყვი. გაეზუმდები... ეიცო გული მოუვით, მეტი დიდ-გული ხალხია და მე კი „სკანდალს“ ჩვეული არა ვარ.

ჩვენი აზრი კი მომავალი რევოლუტარის შესახებ ასეთია: კლასიკურ პრესებს რომ უმეტეს ნაწილათ თავს დაანებებდნენ და უფრო სამადრო ცხოვრებიდან აღებულ რასმე გადმოთარგმნიდნენ, უფრო დროს შეაფერი და არამც თუ გზძობის, თუ ვნებავს, ჭკუისთვისაც სასარგებლო იქნებოდა ასეთი პიესების წარმოდგენა. არიან მართალია, მოძველო პიესები, რომლებიც თავის დღეში არ ბერდებიან, მაგალითათ „ურიელ-აკოსტა“, „ჰამლეტ“, ამ ორი პიესის მოთავსება რევოლუტარში ჩვენ აუცილებლათ მივაგანია, სამადროო ცხოვრებიდან-კი, ნამეტნავათ რუსეთისა, ბევრი კარგი პიესა შეიძლება გადმოკეთებულიყო ან გადმოთარგმნილიყო ქართულათ, რუსეთის ცხოვრება ისე რტკიცე კავშირით არის შეერთებულა ჩვენ ცხოვრებასთან, რომ იქ აღმოკენებული ახალი რომ მოკლენა ჩვენში დიდხანს არ იკვიანებს და ყველასთვის არამც თუ გასაგები, ახლომელი ნაწილობაც ხდება. ჩვენ, რასაკვირველია, არც ვეროპის სცენას უარყუაფთ, მაგრამ რუსეთისას პარველ რიგზე ვაყენებ ჩვენითვის მნიშვნელობის მხრით, ქუთაისში რომ აგრეთ წოდებული „ინტელიგენცია“, იმდენი მგონი მთელ რუსეთის არც ერთ ქალაქში არ მოიპოვება, და თუ ბულგარზე ყოილს და „მარიშენების“ გართობას ყოველ დღე ნახვევარ საათს წაპლენჯენ და „საქმეს“ ჩაუჯდებიან, იმას არც ღმერთი უწყენთ და არც კაცი, მაგალითათ წარსულ წელს ქუთაისში წარმოადგინეს „ცხოვრების გიმრი“ (забытая голова); ჩვენი აზრით ეს საუკეთესო სამადროო პიესაა და ბევრათ უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი დროისათვის, ვინმე ასი და ორასი სისხლში ხელზე დასტერილი კოროლები და მარკიზები. აიღეთ „მეორეთ გაუმწივლები“, აიღეთ „მგოსანი“ (пожняя жатва), გინდ სუშმათათვის (Южнн) თხზულენანი, რატომ ამ საუცხოო ნაწარმოებთ არა აქეთ აღგალი ჩვენ სცენაზე და საშუალო საუკუნოების ზიზელ-პიზბას, თოუ იარაღის ჭეკა-ქუხილს, მაღალ-მაღალ გაქააურებულ ფრახებს კი გულ დაღმით მისდევენ. ამას, რასაკვირველია, თავისი მიზნები აქვს, მაგრამ საჭიროა რომ ამ მიზნებს ცოტ-ცოტათ ფრთები შეეკვეცოს. დროა რომ ჩვენი საზოგადოება იო-ატრში მიინც აღარ ერთობადეს იმ ოცნებებთ-ილლიუზიებით, რომელიც მხოლოთ ავთამყოფი ფ-

ნტაზიის ნაყოფია და ცხოვრებაში არაერთი საყუბები აღარ დარჩენია.

O.

ბათომა. ბევრ მკითხველებს მოგესნება, რომ ბათომაში არის დაარსებული ქართველ მუშათა არტელი დამტკიცებული უმაღლეს მთარობისაგან წსკეტებმერს 1889 წელს. ის არტელი ღებულობს ყოველსავე სამუშაოს. 1891 წელს ბათომაში ჩამოვარდა საშინელი სიძვირე მუშებისა; ქარხნებს ჰქონდათ დიდ ძალი ნეთის მოთხოვნილება საზღვარგარეთიდან, მეტადრე როტშილდის ქარხანას. სწორეთ მუშების სიძვირის დროს როტშილდის ქარხნის გამგემ დაიბარა არტელის სტაროსტა და აღუთქვა სამუშეოთ ნეთის ყუთების განხდვა ქარხნიდან გემთ-სადგურამდის და ფასზეც იყო გარიგებული ათასობოთ. რასაკვირველია, არტელიც შეუდგა თავის მოვალეობას და ასრულებდა, როგორც რიგი იყო, მაგრამ იქ, სადაც დღეში 200 და 300 კაცი მუშაობდა, იქ ხშირათ იყო შემთხვევა, რომ მუშებს ზურგიდან ნეთის ყუთები უფარდებოდათ სიჩქარით მუშაობისაგან, რის გამოც ყუთები ზოგი ოდნავ ზიანდებოდა, მაგრამ ისე არას დროს არ გაფუჭებულა, რომ ნეთი დაღერილიყო, თუმცა გარედან ზის ყუთის ფუკარი (ხუდი) ოდნავ რომ შეტკეცილიყო, მაინც დაშეებულათ ითვლებოდა, რადგანაც მეგემე, თუ ძლიერ საღი არ იქნებოდა ყუთი, ისე ტვირთათ არ ღებულობდა. გეშუე არტელის მუშებისაგან დაზიანებულ ყუთებს ითვლიდა ქარხნის ნოქარი; რამდენიც შედგებოდა საღამობით ქარხნის გამგეს უდგენდა კანტორაში და დაზიანებულ ნეთის ყუთებს ისევე ქარხანაში გზავნიდენ, ქარხნის გამგეც არტელს ურიცხვად თითოეულ ყუთში 2 მ. 30 კ. (ყუთში ორი ფუთია) და დაზიანებულ ყუთებსაც ქარხანაშივე ტრეებდა, თუმცა იმ დროებით ნეთიანი ყუთი მექარხნებს უღირდათ არა მეტი 1 მ. 30 კაპეციისა და არტელს კი ახდენინებდენ 2 მ. 30 კ. იტყვიან და მართალაც არის, რომ ერთ ცხვარს სამი ტყავი არ გაეძრობა, მაგრამ კაცზე კი შესაძლებელი ყოფილა. პირველი ისა, რომ, რაც ქარხანას ყუთი ნეთი უღირდა, იმაზე ორჯერ მეტი გადაახდენინა არტელს, და, იხლო, ხოლო დაზიანებული ნეთის ყუთები, საიდგანაც არტელს შეეძლო მათი გაყიდვით თავის ზარალის ნახვევარი მიინც აეყენებინა, არ მისცეს! ამ ნაირათ ქარხანას გამოურიცხა არტელს 4406 მანეთი და 20 კაპეცი. ამების საშუთებით არტელს მეთლათ ხელში აქვს... არტელი, მუდამ თხოვდა, რომ თუ 2 მ. 30 კ. გვახდენინებთ, დაზიანებული ყუთები ჩვენ უნდ მოგვეცეთო, მაგრამ ეინ იყო შემბრალებელი..

1892 წელს ეწეოა ქ. ბაქოს შუებრალებელი სენი—ხოდერა. როგორც მკითხველებს ეხსოვებათ, მიიღო ბაქოს მუსრი ვაგელა და ბოლოს თვეისნაირი ბათომშიაც ჩამოვიგებენა. ამა მაშინ უნდა გენახათ, რა ამბავი იყო უბანში, სადაც წინეთ ათასობით მუშები იდგენ, ისე გაიფანტენ სოფლებში, რომ ერთიც არ დარჩენილა. მუშა დღეში 2 მ.—2 მ. 50 კ. ღირდა. არტელი მინც მუშაობდა, მუშა რასაც ითხოვდა აძლევდა და ამით მუშას ამაზრებდა ასე, რომ ქარხნიდან აღებული ფული, არტელი რასაც დღიურ მუშებს აძლევდა, იმის ნახევარს ვერ ფარავდა, რადგანაც მუშის სიძვირე მიწასთან ასწორებდა ყოველიფერს, მაგრამ არტელი მინც მუშაობდა იმ ანგარიშით, რომ ახლა ნულარ ფულალებით და რაც უნდა ეიხარათო, შემდეგში მუდამ საქმე გვექნება, ფასებსაც მოვამბობენ და მუშები როცა ვაიფულება, ჩვენ ზარალს ნელ-ნელა ავაყენებთო. ამ ანგარიშის მოიმიფე არტელი ითმენდა ყოველსავე ქირ-ვარამს და ხოლოვრობის დროს, როცა შილდის სამუშაოს თავის ჯიბიდან 2 თვეს 1600 მანეთი ადადდა, როცა ბათომს ზოლიერა ამოვარდა მოაწყდა ყოველი მხრიდან მუშა ხალხი, მეტადრე სახლვარ-გარეთელი თათრები, აგრეთ წოდებული ბათომში ბანაზაქები, (ბანა ბაქი თათრული სიტყვაა და ქართულათ ითარგმნება მე შემხედვ). გათვდა მუშაობა, მაგრამ არტელს ბედმა უშტყუნა. რადგანაც მშვიდობიანობა იყო და დღიური მუშა ათასობით იშოვებოდა—არტელი ქარხნიდან მაშინვე დაითხოვეს. არტელმა რამდენსავე ხანს შემდეგ მიმართა ქარხნის გამგეს თხოვნით, ჩვენ საკუთრებას შეადგენს ის დაზიანებული ყუთები, რომელშიც 2 მ. 30 კ. გადავხდებოდნენ და რატომ არ გვაძლევია, მაგრამ ქარხნის გამგემ ქარხნისკა შემდეგი სიტყვებით გამოისტუმრა: „მე ჩემ ქარხანაში ამ ნაირი კანონი მაქვს დადებული!“ არტელის მოთვემ კარგათ იცოდა, რომ არც მექარხნეს, არც არავის სწავს არ შეეძლო გამოეცა თავისი კერძო კანონი რუსეთის სახელმწიფოში და მიტომ არტელის გამგე იძულებული შეიქნა ზემო აღწერილი ამბავი განესაჩივრებინა. საქმემ კიდევ მიიღო კანონიერი მოძრაობა, და საწარმოებლათ იგი იკისრა ქუთათურმა ნავიცი ექტილმა მოსე ქიქიძემ და იმედი უნდა ექიანიოთ, რომ არ დაუკარგავს სიმაართლეს უფრო მუშა ხალხს, ვადმოხვეწილთ თავის საფლებიდან დღიური საყვების სამხენელათ; ნეტავ ერთი მაქონობა, რა უფევი დღიანებულნი ნავთის ყუთები და საზარალა არტელიდან მოგებულნი ფულები—როტშილდის ბილიარდებში შერიცხეს თუ სხვაფერ ი მოიხზავს, ჯარიმაც ამას ჰქვია და ჯანაზაც.

ქუთაისი. 18 მაისს საბჭოს კრებაზე გადაწულა როგორც იქნა ვაიბა მხარეს რეალურ სასწავლებლისათვის (გვეუთის ქუჩაზე) ქალაქის ადგილის დათმობა, რამაც წარსულ (4 მაისის) და ახლანდელ კრებაზეც ბევრი ლაპარაკი და უთანხმოება გამოიწვია. ამ საკითხის მოწინააღმდეგეთ ორივე კრებაზე იმდენათ ორქალობა და არა პირდაპირობა დატყუოთ, რომ მათი სიტყვა სხვა იყო და საქმე სხვა. პირველსავე კრებაზე სიტყვით ყველამ თქნა: ვაიბა ვაიბა და როცა საქმე კენჭზე მიდგა, იქ კი ხმები თანასწორათ დაიყო და თუმცა იმავე კრებაზე კენჭი მეორეთ ჰყარეს, მაგრამ თერთი კიდევ მაინც ვერ აღემატა შავს იმდენათ, რომ საქმე გადაწყვეტილათ ჩათვლილიყო. ამის გამო 18 მაისის კრებაზე ხმოსნებმა ითხოვეს თავ-ახლილი კენჭის ყრა, თუმცა ამას ძალიან წინააღმდეგა ექიმი და, ნახაროვი. მარა მაინც მიიღეს და 21 ხმის უმეტესობით წ წინააღმდეგ, რეალური სასწავლებლისათვის გვეუთის ქუჩაზე ადგილის მიცემა დამტკიცდა.

მეორე საკითხი, რომლის გამო ბევრი მკვერ-მეტყველური სიტყვები წასულ და ამ კრებაზე დახარჯეს, შეეხებოდა ს. ჯორჯიკას კერძო სასწავლებლის შეწევას. თუმცა ხმოსნებმა უმაღლეს და პროგინაზიულ განათლების შესახებ ბევრი ილაპარაკეს, მარა მათმა უმრავლესობამ ქუთაისის ახლანდელ საქაროვებს მაინც ვერ აუღო ალღო და გარდა ერთი ბ. ფიფინაივის საკრძოთ არავინ დაძრა პირველი დაწყებით სასწავლებლების შეწევას, თუ ახლათ დაარსების შესახებ. აი სწორეთ ეს არის ავთომყოფი ადგილი ქუთაისის მკვიდრთა, რასაც ცხადათ ამტკიცებს საკვირაო სკოლაში შემოსვლის მსურველთა რიცხვი. იქ ხშირათ უარს ეუბნებიათ სწავლის მსურველთ, უადგილობის გამო. ამგვარივე ფაქტი აღნიშნა ბ. ვ. პეტრიანოვილმა თავის სასწავლებლის შესახებ, მარა მათი სიტყვა დაძრა „ხმა მღალადებლისა“ და კერძო სასწავლებელს კი გადაუწყვიტეს 1200 მან. დახმარება.

18 მაისის საბჭოს კრებაზე სრულიად უყურადღებოთ ჩაატარეს აგრეთვე გაბრიელ ვენისკოვოზის სახელობაზე დაარსებული ბიბლიოთეკის გამკის ე. ჯინოთის თხოვნა, რომელშიაც ის ითხოვდა ამ ბიბლიოთეკისათვის დახმარებას. რაც არაფერი გავქვს რა მიეცეთო, ამბობდენ ისინიცი კ, ვისაც ამის თქმა არ მიეტყვება, ყველამ კარგათ იცის რა სასარგებლო დაწეებულდება ეს ბიბლიოთეკა დაბალი ხალხისთვის, ყველამ კარგათ იცის, რომ მას დღე მუდამ საშუალო რიცხვით 40—60 მკითხველი ჰყავს და ამოდენა მკითხველთა სურვილი ნუ თუ ეკრძა ერთი აღმინის მოქმედებამ უნდა დაეწყაყოფილოს?!. მას ჯერ ყველა ქართული წიგნებიც ვერ შეუძენია...

კვირიდან კვირამდე.

ქანსა თუ ციმიბი — ალთქმული ქვეყანა —
უმიბნიეთ — სასწიქნო საიდუმლოება — მ.
ნიფესტი — ერთი გენიოსი — სოლომონ ბმქ-
ნი — წყალ წაღებულის სსიპარბი —

დასული წლის 19 სექტემბერს ორ უცნობ პირ-
მა ასეთი საუბარი გაშროთა „კონკის“ ვაგონში: — არ
ეცი, ის კიდევ ცოცხალია თუ არა, მარა უკეთესია
ერთი მოკვდეს ეინემ ასი შიმშილით კვდებოდეს; — გა-
ჩუმიდ, მოაძახა მეორემ, ხომ იცი ამისთვის ციმიბრში
გავგზავნიან; — რა მერე, აქ წვალვბას ისევ ციმიბრში
ყოფნა ჯობს, მოუტრა პირველია. ვინ იყენე ესინ?
რამ გაარისხათ ასე? ესენი ვაზლდათ ბოზარეგანის
პაპიროსის ქარხნის მუშები, რომ ლებთაც ის იყო
ერთი თავისი ამხანაგი მოკვლათ და უკან ბრუნდენ-
ბოდენ. შიხეზი ამ მკვლელობის ამ კვირეში გამოა-
რკეი თვლისის ოლქის საამართლოში. აი საქმე
რამე ყოფილა: ენთაღვიანცმა თავის ქარხანაში შე-
მოიღო პაპიროსის საყეთებელი მანქანა, რის გამო
პაპიროსი იაფათ დაუჯდა და იაფათაც გაიტანა გასა-
ყადათ. ამით მუშტარი დაეკარგა მის მეტოქე ბოზა-
რეგანის და ამაზე მოინდობა იაფათ გაუიღვა; მარა
არა ახალი მანქანის შემოღებით, არამედ მუშათა ქი-
რის დაკლებით. დაუტყნს მუშებს ქირა და ორას
მუშამ თავი დაანება მუშაობას. მარა მუშებში განხე-
თქილებმა ჩაბოვარდა და რამდენსამე დღეს შემდეგ
ნაწილ-ნაწილათ ისევ შეუდგენ მუშაობას დაკლებუ-
ლი დღის ქრით. აი ამ განხეთქილების და უპირო-
ბის შიხეზი ყოფილა ერთი მუშათაგანი — დე. ნალა-
კერავი. ამ გარემოებამ იძღნათ ააღვლეა მუშები,
რომ ორ მათგანმა გადაწყვიტა მოლაღატ სკვდილ-
ითი და მისაჯათ, რაც მამინებ მოყვიანილ იქნა სის-
რულეში. მკვლელები — მამულეთი და გრუბელაძე —
გავზავნილ იქმნენ ციმიბრში...



ნოკრებენ?.. ესენი მუდამ დღე ჩივიან, კვირე-
ში ერთი დღე მინც მოგვეცეს თავისუფალია,
მარა ამაოთ; უქმი, საქმი მათთვის სულ ერთია, მათი
უფროსები კი არჩეიანთ განსიენებენ არა მარტო
უქმ დღეებში, არამედ საქმის დღესაც. რა ენაღვლე-
ბათ, მონა-მორჩილი არა ჰყავთ თუ? და კიდევ რა
ნაირი მონა, ალიონიდან შუალამემდე ვეხზე არის,
მისი სამუშაო დღე აღმავტება 15 — 18 საათს; რასა-
კვირეგლია ხეირიანი მოსვენება, ძილა, სეირნობა,
მისთვის არ დაწერილა, ხოლო კითხვა, გონებრივი
ეარჯიშობა ხომ სრულიად უცნობია. მისი საითხა-
ვი წინეი დეთარია, მისი სავარჯიშო „ჩითქია“.
და ასე სულ შრომა და შრომა ბ. „ხაზანი“ — ის სა-

კეთილ დღეთ და სამხარულოთ. აი რა ჯურისაა
ჩვენებური სოედარეები. ამით ჯერ კიდევ ვერ მოუ-
სწრით გამიღილება, ქისის ვატენა და ჩქარობენ ამა-
ვინ ხარ მამაცი, ვინ უწინ შევა ალთქმულ ქვეყანა-
შია!



მარა ამისთვის საქმარისათ ვერ უტენით მარტო
ნოკრების დაჯანება და სხვა ამისთანები. მათთვის
საქროა საზოგადოებაში პატეის და გაეღენის მო-
პობება, და ერთი საუკეთესო იარაღი თავის თავის
გამლიერებისა ქალაქის თვით-მართელობაა. აი აქ
თავი მოუყრით ვაჭრებს და მათ მეზარბოღტრეებს
და მთელ თათის სოცქ-სიგანით გაბატონებულან.
რა და რა იონებს არ მიმართენ ხოლმე ამ უპირა-
ტესობის დასაცელოთ, აი თუნდა ქუთაისის საბჭო.
აქაურ უხმო ხმონებს მთელი ოთხი წლის განმავ-
ლობაში არა უაქემთ და არა უკეთებიანთ; კაცი
იფიქრებდა არც კი არსებობენო, მარა დახე ჩვენ
ბედ-იღბალს, ლმერთმა არ დავეტოვა ოლათ, ეს
აქეთ-იქით მიმალულ-მომალული ხმონები უტებ სო-
ნათლემეი გამოვარდნილან და პაწია ქუთაისი ლამის
გადაყრუონ, აქ გახლავართ, აქა, არ დამივიწყოთ!
და მერე რატომ მოუწდათ ეს თავის გახსენება? იმი-
ტომ რომ იენისში არჩევიანა დანიშნული და თხო-
ულობენ „ამირჩიეთო.“ ოლონდაც, არ ხართ ასარ-
ჩევი თუ? ხოლო რატომ, რისთვის — ეს ბ. ხმონის
საიდუმლოებაა. მისი მოავლეობის წარსულზე არავინ
არაფერი იცის და იმედია არც მის მომავალზე გვე-
ცოდინება რამ.



მარა უკაცრავათ, კინაღამ დამივიწყდა, ქუთაისის
საბჭომ ორი დიდი საქმით ისახება თავი: ერთი გახ-
ლავს კენჭის ყრა, ხოლო მეორე ამომარჩეველთა
სისი შედგენა. რაც შეეხება პირველს — ეს სწორეთ
ქუთაისის საკადრისია. კენჭის ყრა ქუთათურ „ორა-
ყდანიის“ სულ სხვაწარათ ცოღნია, ერთ და იმავე
სავანს დახურულ ყუთში აშავეს, ხოლო თვე ახდი-
ლში ათეთრებს. სიზნელეში ვაგბდულათ მოქმედობს,
სინათლემეი კი დარცხენილია, „ბარიშსასავით“
აქეთ-იქით იხედება ამა რას იფიქრებენ ჩემზე მაყუ-
რებლებიო. აი ასე დარცხენილი საბჭო სამაჯალიო
უტ-ფრობას იჩენს როცა თავის-თავის არჩევიანზე
მიდგება საქმე. ის დაყინებით გაიძახის: ხელ ახლა
თუ არ ამარჩიე ქუთაისი დაიღუპებო. ხოლო ეს
თავს თავის არჩევიან უზრუნველი რომ ჰყოს გამე-
ობა ანტისემიტურ გზას დადგოდა, საარჩევნო სიი-
დან ურიგობი გამოუგლია და მით თავისი მოტრეა-
ლენი გაუფარბია. რატომ ურიგებს არ უნდა ჰქონდეთ
ხმა? ეს გამეგობის საარჩევნო საიდუმლოებაა. მარა



თეგზის ზღვა ცაზანაშაშა.

რალა ურიები, ბევრ ქრისტიანებისთვისაც პანღორი მიურტყამთ, არც თქვენ გერგებთ კენის უფლებათ. რატომ? ესეც საიდუმლოებება, ხოლო ის კი გამოიყვანა, რომ ერთი პირისთვის უფლებება ჩამოერთმევათ იმტომ, რომ ის ნადასან ვაზეთში წერს! მერე? მერე ის რომ ვაზეთი არ უყვარს არც საბჭოს და არც გამეგობას...

* *

არ იფიქროთ ქუთაისში მარტო ისეთი მალა მყერიკლები ბოგინობდენ, სხვა კი აღარაინ იყოს. არიან, როგორც არ არიან, მარა ესენი არ ყვირიან, საზოგადოებას თავს არ აბეზრებენ და ამიტომ უჩინარ-დამალული არიან. აი მავალითათ აწ განსვენებული ცერა ჯაფარიძის ასული. ასეთი წელი და ჩემი მუშაკი წარმოადგენს ერთი ერთ შუქს ჩვენებურ ბნელ სამყოვოში, აი რას წერს ის ერთ თავის მეგობარს: „კიდევ კარგა რომ იმედს სრულიად არ ქრება და იმეითათ მაინც გამოიმუქებს, როგორც ღრუბლებიდან დაფარული ნათელი მზე! მრწამს უკეთესი მომავალი, მსურს ცხოვრებასთან მედგრათ შეტაკება... მინდა ჩაგროლოთ შევეუფლებო კუტაოდნათ მძიმე ტვირთი, ცოტაოდნი ნათელი მაინც შევიტანო. აი მის ბნელით მოკულ ცხოვრებაში, მეგრა ადამიანის სიკარვე, ძმობა, ერთობა, სიყვარული!.. აი ეს მთელი მანიფესტია ქალებისკენ მიმართული, ეს პროგრამა ყველა მოღვაწეთა სახელ-მძღვანელო; და მერე რა მიუხდეს სამაგიეროთ მის აეტორს? რა და გუტანლობა და ხელის შეშლა. ქუთაისის მყერიკლა ნაწილი ასე უხედება იმათ, ვინც ღირსი დახლოების, და მრავალ-ქამიერს უგალობს იმას, ვინც ღირსია განდევნის.

* *

მარა რალა მარტო ქუთაისი. ეს თვლილიც ბევრ რამეში მოიქუთოსებს. აქაც არის ერთი მალა მყერიკლა ჯგუფი, რომელსაც დღემდე არა გაუქმებია რა გარდა ლაპარაკი და ფართი-უფრთხისა. ამ ჯგუფის საუკეთესო წევრებს, რასაკირეელია, ქართველები შეადგენენ, მარა ახლა მათ ერთი არა ქართველიც ეცილება—ეს ქალაქის თავი გახლავს. აქამდღე მან თავი ვაგავინო როგორც საქმის კაცი sans phrase, ახლა კი ფრაზებისთვისაც რუტანებია ხელი და ღამის არის მის მიერ ყბათ არებულები საბჭო გააშტროს. ბ. თავი კი ხანია თქირა-ბს თავის თავს რამე დატყუოს და ქალაქს შემატოს. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გამოიფიქრა ერთი შესანიშნავი პროექტი, რაც ამ დღეებში ქვეყანას აუწყა. რალაც მიზეზის გამო ქალაქს თურმე პერი არ ყოფნის, ხოლო ეს პერი ყველა ბატანიურ ბაღში ყოფილა

მოწყვედული და ქალაქიდან მალალი კლდედა შორებულნი. ვაგებრიტოთ ეს კლდე და ვაგიდეთ ბატანიურ ბაღშია — ამბობს ქალაქის თავი; ამისთვის საჭირო არ არის ბევრი რამ, დიდი, დიდი 40 ათასი მანეთი და მისი ჯანი. როგორც ხედავთ ეს გენიოსური მოსაზრება. მარა ამ ახალ მეპროექტეს ერთი თვისება სჭირს, ის სრულეობით არ იხედება ქალაქის საზღვრებში და სულ ქალაქ გარეთ მიიწევა. თვარა დანახავდა ქუჩებს დაბინძურებულს, ეზოებს აურულეებულს, სასმელ-საჭმელს დამალ-ვაფუტეებულს—ერთი სიტყვით მთელი ქალაქი ანტი-სანიტარულ მდგომარეობაშია და იმის მაგიერ რომ ამას შეეცდეს დიდი ყურადღება და თუ სადმე უფუტია ამის მოწყობაზე დიხნარჯის, ბ. თავი ბატანიურ ბაღში გვისტუმრებს თუ ქალაქი არ მოგწონს იქ მობძანდითო. ეს მგონი მოქალაქეთა თვალის ახედება, მათი ყურადღების გარეთ გატყუება და მეტი არაფერი.

* *

თუ ქალაქის თავი ჩვენ ყურადღებას ასე შორის იტყობებს, სამაგიეროთ ბაქოს მომრიკებელი მოსამართლე ერთ მეტათ საინტერესო კითხვისაკენ აქცევს ჩვენ ყურადღებას. ეს კითხვა: აქეს თუ არა პოლიციის უფლება ისეთი განკარგულება მოახდინოს, რაც კანონში მოხსენებული არ არის? ერთი ასეთი უნიკარგულება ბაქოს პოლიციისთვის გამოუცია: ფრინველ დღეების განცხადებებზე უფოთათ აღნიშნულ უნდა იყოს, რომ პატრონი ურია არისო. და რადგანაც 50 ხელისანს ეს არ აუსრულდება პოლიციისთვის სასამართლოში უჩივლია ბრძანებას არ ემორჩილებიანო. ამაზე 21 მაისს ბაქოს სოლომონმა დაადგინა: კანონს არ ემორჩილება არა ის 50 ხელისანი, არამედ თვით პოლიციისტერი, ვინაიდან კანონში ასეთი „უქაზების“ მზავისი არა არის რა ნათქვამი, ხოლო პოლიციის ნება არა აქვს კანონმდებლობის უფლება დიხმოსო. მალლობა დმერთს, ჩვენც გვევლია ერთი მოსამართლე!

* *

და ავრთვეთ ერთი მაზრის უფროსიც! მოგვხსენებთ, რომ სოფლის წერილ-ფება პოლიცია ხალხს სწორეთ მაშინ ვარტყს რალაც ბეგარაზე, რაცა ის არის სარჩო-საბადებელი უნდა მოიწვიოს და აღინარე დღეს ყანებს დატრიალებს. ეს ასეთი ყბათ-საბადე არ მოგწონს კანების ერთ სოფლის და მაზრის უფროსს საჩივარა მიართება: რადგანაც ამ დღეებში ემზადებთ წლის სარჩოს და ყოველ გვარ ვადასახანს—სწორეთ ამ დროს გერეკვენ და უნაყოფო საქმეს ვაკეთებებენ, ხოლო იმ მამულების გამაგრება, რომელიც ვასამაგრებელ ხევის ახლო-მახლო მდებარე-

ობს, ეკუთვნის სახელმწიფოს, თავად-ზნაურობას და მოქალაქეთ, ჩვენ კი მესედის არ მოგვსწევსო და თუ სადმე სამართალია ყველა მებატონემ უნდა გაემაგრეთ ზევი და არა მარტო ჩვენი. მახრის უფროსმა მოსმინა რა ეს დაადგინა: ბეგარისაგან განმითვისსუფლებნათ, როგორც გინდით ისე გააკეთეთ, გინდ სულ ნუ გააკეთებთ მხოლოდ თუ წყალობა წაიღოთ, ჩემთან ნულარ მოხვალთ და ნუ შემოიჭირებლებთო! იმედია წყალ-წალბებული ვეღარ იჩივლებს!

მეგაჰარის შენიშვნები

(ქ. მიუხსენია. 1)

